К 64.290
2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს მეფე

ვახტანგ მეექვსე

საქართველოს რევოლიუციის მუზეუმი
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ.

თხზულება

დიმიტრი ბაქრაძისა

გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

1880

83

(47.93)
ეროვნული
ბიბლიოთეკა

З-323.

К64.290
89/79

საქართველოს მეფე

ვახტანგ მეექვსე.

თხზულება

დიმიტრი ბაქრაძისა.

Тбилисский Филиал
Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

თბილისი.
ამბარცუმ ენფიანჯიანცის სტამბა.
1880.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. 1880 г., 1 февраля, Г. Тифлисъ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ მეექვსე.

(ორი თავი)

I

ადამიანი ეკუთვნის საზოგადოებას. იმის აღზდას, მიმართულებას და ცხოვრებას უნდა საგნად ჰქონდეს საზოგადოების ინტერესი. ის იმისთვის არ უნდა ჰზოგავდეს არც თავის ნიჭსა, არც თავის ქონებასა, არც თავის სიცოცხლესა. თუ მომატებულს ნაწილს ხალხისას ეს საგანი ესმის და იმის გაგლენის ქვეშ მოქმედებს ყოველთვის, მაშინ საზოგადოება მტკიცედ არის დამყარებული და შემძლეა, კეთილ-დღეობისა და წარმატების გზაზე დგას. თუ არა, თუ იმათ თავიანთ ცხოვრებაში საგნად აქვთ საკუთარი ინტერესი, წინააღმდეგი საზოგადოების მოთხოვნილებისა, მაშინ საზოგადოების წევრნი არიან სუსტნი და თვით საზოგადოების კავშირი დარღვეულია. ეს ასეა და ასეც უნდა იყოს. ადამიანი ყოველს ცხოველს ქმნულებაში იმითია განსხვავებული, რომ ბუნებას ის შეუმკვია გონებით; იმისი გონება ამყარებს ადამიანის მოდგმას საზოგადოებად—და საზოგადოება მაშინ ასრულებს თავის მნიშვნელობას, როდესაც იმის წევრნი იმას წარმა-

საქართველოს რევოლუციის მუზეუმი
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტების გზაზე აყენებენ. ამ ნიჭს მოკლებულნი არიან დანაშთენნი ქმნულებანი; ამისთვისაც ისინი ცხოვრებენ გაცალკევებით, მისდევენ მხოლოდ თავის გულის წადილს, ინსტიგტურ მოთხოვნილებას. როდესაც ადამიანი საკუთარს ინტერესს და გულის წადილს უწინა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რთაგან საზოგადოების ნამდვილის სარგებლობის წინააღმდეგი მოქმედება და ამის გამო საზოგადოების კავშირის შესუსტება.

ყოველსავე, რასაც აქ ვამბობთ, ცხადად გვიმტკიცებს ჩვენივე ისტორია: რა აკლდა საქართველოს, რომ ის მუდამ წარმატებაში ყოფილიყო? საქართველოს ჭსაზღვრავდა ბუნებით და ხელოვნებით გამაგრებული ზღუდეები; იმისი ხეობები და მთის გზები ჩვენ წინა-პართ ხელში ეპყრათ: როდესაც სურდათ გაადებდნეს, როდესაც სურდათ დახშვიდნენ. ძტრის შემოსვლა ჩვენს ქვეყანაში ძნელი იყო შავის ზღვის აღმოსავლეთი ნაპირები იმათ მფლობელობაშივე იყო და აქ ადებ-მიტემობით იმათ შეეძლოთ დიდი სიმდიდრე შეეძინათ. საქართველოს ადგილ-მამული შემკობილი იყო უხვად ყოველ-გვარის ჭვეითა: ის აყარმოებდა ისეთს მცენარეებს, რომელნიც იზრდებიან მხოლოდ სხვა და სხვა სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებში. ერთებით ქართული ერი შეადგენდა მჭიდროდ დასახლებულს, ერთი ერთმანეთზე დამოკიდებულ ტომს, კავკაზიის ქედიდამ მოყოლებით ვიდრე შავ ზღვამდე. ქართველნი: იყვნეს მინიჭებულნი წარმატების მიმცემის ნიჭიერებით, ხასიათის ძალით და მხნეობით. ოვით იმათ ახალ სარწმუნოებას, რომელიც საქართველოში შემოტანილი იყო მეოთხე საუკუნეში წმიდა ნინოსაგან და რომელსაც საგნად ჭქონდა საზოგადოების წევრთა ურთიერთი სიყვარული და მაშასადამე იმათის ზნეობის და ყოფა-ცხოვრების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარმატება, აქ სარწმუნოებას სამუდამოდ უნდა დაეკავშირებინა ქართველი ტომი, უნდა დაეკავშირებინა უფრო ამიტომ, რომ იმას გარეშემო ეხვევნენ დაუძინებელნი ქრისტეს სჯულის მტერნი — ცეცხლის თაყვანის მცემელნი და მაჰმადიანნი. მართლა და ვიდრე ჩვენ ტომში დაიხშოდა საზოგადო გრძნობა, ვიდრე ჩვენი წინაპარნი ერთობას მსახურებდნენ, ისინი ყოველან ძლიერნი, ძლიერნი შინათ და გარეთ. მამულის შემუშავება, ტეხნიკური ხელოვნება გავრცელებული თურმე იყო ჩვენ ქვეყანაში. ჩვენ ვხედავთ ახლაც მრავალ ნაშთს არხებისას, კლდეებში საურმე გზებისას, მთებში და უდაბურ ადგილებში ვენახებისას, სასახლეებისას და ეკლესიებისას. სხვა არა იყოსრა ძველი ეკლესიების მშვენიერი სხვა და სხვა მრავალ-გვარი არხიტექტურული ხელოვნება ცხადად ამტკიცებს, რომ ჩვენნი წინაპარნი ოდესმე განვითარებულნი ყოფილან ცოდნით და შრომის მოყვარეობით. ისინი გონებით გახსნილნი და მეცნიერების მიმოლნი თურმე იყვნენ. შინ იმათ სასწავლებლად ჰქონიათ მონასტრები, გარეთ უმაღლესის სწავლის მისაღებად ვიზანტია და თვით იტალია. ქართველებმა დასტოვეს შესანიშნავი გონების ნაწარმოები, რომელიც შეიცავს პოეზიასა, საერო და სამღვდელო ლიტერატურასა, ნამდვილ ქართულსა და სხვა და სხვა ენებიდან გადმოღებულსა. იმათ ისე შეუმუშავებიათ თავისი ენა, რომ თუმცა ის ახლა ჩვენთვის თითქმის დაკარგულია, მაგრამ იმას შეუძლიან თითქმის ყოველივე საშეცნი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერო საგანი შეითვისოს და შეიმუშავოს. რა დრო იყო ის დრო? ის ის დრო იყო, როდესაც საქართველოში ჩვეულებრივ ერთობა, ესე იგი, მეათე, მერთმეტე და მეთორმეტე საუკუნე. მაშინ ჩვენი ტომი რიცხვით დიად თურმე მატულობდა და იზდებოდა, ასე რომ იმას ეპყრა ადგილები, რომელნიც ახლა ან გავერანებულნი არიან, ან უცხო ტომთ უჭირავთ. მაშინ უცხო სამეფოთაგან საქართველო პატივ-ცემული იყო და აზიაში შემძლე სამფლობელოდ ირიცხებოდა. მტერი ან კერ ბედავდა იმასთან შებრძოლებას, ან ხშირად იძლეოდა. ეს მდგომარეობა რომ შემდეგ არ შერყეულიყო, უეჭველია, ქართველი ტომი ერთის მხრით მოიფინებოდა კავკაზიის აქეთ და იქით კასპიის ზღვამდე, მეორეს მხრით გაეტანა მთელს მცირე აზიაში, სპარსეთის საზღვრამდე; მაგრამ საუბედურად შემდეგ შინაურმა განხეთქილებამ, საზოგადო ინტერესის წინააღმდეგმა მოქმედებამ ექვსის საუკინის განმავლობაში ამოჭრეთ საზოგადოებისა და მამულის ნამდვილი სიყვარული, დაამხო ზნეობა და დაარღვია ყოველივე შინაური კავშირი. წარმოიდგინეთ რას ვხედავთ? პირველად მონგოლები, რუსუდანის დროს, მეცამეტე საუკუნეში, ხალხის შესასუსტებლად საქართველოს ორ სამეფოდ ჭყოფენ. მასუკან იმათ მიბაძვით ქართველები თვითონვე ჭგლეჯენ თავიანთ თავსა რამდენსამე სამეფოდ და სამთავროდ. კახეთი ამბობს მეთხუთმეტე საუკუნის გასვლის აღწერაში: „და იქმნა მიერ ჟამიდგან სამეფოსა გახუოთვილება სამად,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამეთუ ერთი მეფე დაჯდა იმერეთს, ერთი კახეთს, ერთი ქართლს და არცადა თუ ამას აგმარეს, არამედ განდგნენ თვის-თვისად მთავარნი, ათაბაგმან დაიპყრა საათაბაგო ანუ სამცხე-ჯავახეთი, კვალად იმერეთაგან განდგნენ დადიანი, გურიელი, შარვაშიძე და სხვანი, და ამათ დაიპყრნეს საზღვარნი თვისნი და ვიდრე აწამდე არღარა იქმნა შეკრება მისი, არამედ კვალადცა უფრონელ დაკნინებანი“: ქართლის მეფემ კონსტანტინემ განიზრახა შემოკრება ქართველთა, მაგრამ ვახუშტის თქმითვე, „დიდებულნი ეტყოდნენ, ვინაიდგან მტკიცედ დგანან ერთგულობასა ზედათ ვისთა მეფეთათა იმერნი და კახნი, და კვალად ათაბაგისა სამცხენი, ამისთვის არა განგიზრახავთო ბრძოლასა, რამეთუ თუმცა მრე ვექმნეთ ერთსა, არღარა მოგვცემს მეორე ნებასა, არამედ ვცადოთ ყამი“. ეს ყამი არაოდეს აღარ დაბრუნებულა და, რაღა ეჭვი უნდა, თვის თავად არც დაბრუნდებოდა.

აქედამ სჩანს, რა გვარ დაეცა ჩვენი ქვეყანა თამარის შემდეგ ორასის წლის განმავლობაში. ვუჩვენოთ, რა მდგომარეობაშია საქართველო მეთხუთმეტის საუკუნიდამ. ეს საგანი დიად ღირს-შესანიშნავია ჩვენთვის: აქ ჩვენ ვხედავთ, რომ მამა-პაპის ბრალი და შეცოდება იმის შთამომავლობას სდევნის და ჭსჯის, თუ ეს შთამომავლობა არა გრძნობს ამ შეცდომას და ღონის ძიებას არ ეძებს, რომ ის თავიდამ აიცილოს. რომ საქართველოს უბედურების მიზეზნი ჩვენნი წინაპარნი იყვნენ ეს ცხადია; რომ იმათნი შეილ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნი ვერ შეჰხვდნენ ამ მიზეზს, ესეც ცხადია. ჩვენ მეფეებში ზოგნი შეიძლენი იყვნენ: იმათ შემთხვევა ხელად აძლევდა თითქმის მთელს საქართველოს. იმათ შეეძლოთ მთელი ტომი შემოეკრიბათ: ამაზე იყო დამოკიდებული შინაურიკავშირი, საზოგადო ინტერესის შეგნება და ძალა. საუბედუროდ, ისინი თვითონვე უარს-ყოფდნენ ღონისძიების მოხმარებასა: რაგორ დავარღვიოთო ძველადვე დასკვნილი წესი, რაგორ გუმუხთლოთო ამა და ამ სახლის შვილს, მეფეს თუ მთავარს, რომელიც ნათესაობით არისო ჩვენთან შეკავშირებული? აი რაგორ თვიქრობდნენ ისინი. ამ წესს ანუ უკედ ვითქვათ, უკიდურეს უწესობას ეხმარებოდნენ თურქნი და სპარსნი. იმათი სარგებლობა მოითხოვდა, რომ ქართველნი მუდამ გაცალკევებულნი და ერთი მეორის მტერნი ყოფილიყვნენ. საქართველოს გარემოება ისეც მომდინარეობდა, რაგორც იმათ ჭსურდათ. ისინი თვით ნათესაობის დამოკიდებულებასაც აშფოთებდნენ. იმათ დაბადეს დაუძინებელი მტრობა და ბრძოლა მეფისა მეფესთან და მთავართან, მთავრისა მთავართან და მეფესთან. იმათ ჭაძავდნენ თავადნი და აზნაურნი; თვით სამღვდელონი და მდაბალი ხალხი იმათ პარტიებად იყვნენ დაგლეჯილნი: ისეა მხარე არეული, რომ ხან და ხან თქვენ არ შეგიძლიანთ შენჭნიშნოთ, ვინ არის მეფე, ვინ არის მთავარი. მთავარი იმოხვევებს და სტუვენავს მეფესა, მეფე მთავარსა, თვითოეული თავის თავისთვის ცდილობს, ყოველ ღონის ძიებას ხმარობს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ თავისი გულის-წადილი აღსრულებაში მოიყვანოს. აი ერთი გარემოება, ისეთი გარემოება, რომელიც იშვიათი არ იყო ჩვენში: მეთექვსმეტე საუკუნის გასულს ქართლში მეფობდა ლუარსაბის ძე სვიმონი. იმას ჰყვანდა ძმა დავითი. დავითმა თვითონ მოინდომა მეფობა; ის წავიდა სპარსეთს, დაუგრა თავი შაჰ-თამაზს, მიიღო მაჰმადიანობა, დაირქვა სახელად დაუდ-ხანი და დაბრუნდა ხელმწიფედ სპარსეთის ჯარით; ასტუდა ძმებში განხეთქილება და შეუწყვეტელი ბრძოლა. ასე ადვილ საქმედ მიაჩნდათ ჩვენ წინა-პართა სისხლის-ღვრა, რომ უბრალო შური, უბრალო შემთხვევა ჭბადავდა ერთი-მეორის ულტასა. 1539 წელს ლუარსაბ პირველი და მესხნი ბახიანში შეებნენ ოსმალებს, რომელთაც ეჭირათ სამცხე. „მაშინ — ამბობს ჩვენი მატიანე — მესხნი იტყოდნენ, ჩვენ ვართ წინა-მბრძოლნი ძველადვე და აწცა ძველანა არს ჩვენი და ჩვენადვე ჯერ-არსო. არამედ არა ინებეს ქართველთა. ამისათვის შური იძიეს მესხთა და არღარა შეეწყოდნენ მათ და მოწყდნეს ქართველი მრავალნი და იეულტოდნენ მესხნი და ამით იძლიეენ იგინი.

ამ მდგომარეობაში ოსმალნი ღა სპარსნი უშიშრად შემოდიოდნენ საქართველოში და თავისუფლად ბძანებლობდნენ. იმათი წინააღმდეგი არავინ იყო. ისინი მხოლოდ ერთი მეორის შიშში იყვნენ და უფრო ერთი მეორეს ებრძოდნენ. ქართველნი ჰკერძავდნენ ზოგნი ოსმა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეებს, ზოგნი სპარსებს, და თავის მხარეს თვითონვე ანიხრებდნენ. რამდენჯერ შემოსულან ოსმალნი და სპარსნი ჩვენში, რამდენჯერ აუკლიათ იმათ საქართველო, რამდენჯერ ამოუწვავთ თვით თბილისი, ამის თქმა ჩვენ გვეძნელება. ოსმალები ჭეოდნენ საქართველოს თავშალიგებად და სანჯაგებად, სპარსები—საბეგლარბეგოებად და სახანოებად. ოსმალების გავლენა და ძალა უკრო სამცხეში და იმერეთში მოქმედებდა სპარსებისა—უფრო ქართლში და კახეთში. მუსულმანის სარწმუნოება ადრეკე შემოვიდა ჩვენში. საოთბაგო თიითქმის მთლად გაშაჭმადიანდა, ქართლ-კახეთში ის ბირველად ალიარეს მეფეებმა დაუთ-ხანის დროდამ, მასუკან გავრცელდა თავად-აზნაურებში. დროს განმავლობაში აქ ისეთი წესი დაიდო, რომ არცერთ მეფეს არ შეეძლო ტახტზე ასვლა, თუ გარეკან მაინც არ ალიარებდა ისლამსა და თვით სპარსეთში არ იახლებოდა შაჰსა. სპარსეთიდამ ის შემოდიოდა მეფედ სპარსის ჯარით, რომელიც აქკე მყარდებოდა. ეს ჯარი იჭერდა ციხე-სიმაგრეებსა და ბრძანებლობდა ქალაქებსა და სოფლებსა. ვახუშტის თქმით, ერეკლეს დროს, მეჩვიდმეტე საუკუნის გასულს, „ციზიდბაშნი მცველნი თბილისის ციხისანი ჰყოლიდნენ და წარუსხმიდნენ კაცთა ცოლ-შვილთა, სხვათა ჰყიდნენ. და ჭირისა ამისთვის გარდაშენდებოდნენ ქართლისა გლეხნი და აზნაურნი კახეთს:“ გიორგი მეთერთმეტის დროს იგივე ვახუშტი იტყვის: „იპარვიდიან სილაღითა მცველნი ციხის თათარნი თბილისისნი. გორისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და სურამის ტუგეთა და ჰყიდიან, და შეერიათ ქართველთაცა განსყიდვა ტუგეთა და იცვალებოდაცა ძცევა-ზნენი ქართლისანი და იქცეოდნენ უმეტეს ყიზილბაშთა ზნე წესითა და ყოველითა უწესოებითა ქრისტიანულისათა ცოდვითურთ". ტუგედ მიჰყვანდათ ოსმალებს იმერეთიდამ, სპარსებს ქართლ-კახეთიდამ. მარტო შაჰ-აბასის დროს ჩვენი მატიანე უჩვენებს ერთ იმის შემოსვლაში ტუგედ გაუყვანიეს 80 ათას სულსა; თანა მედროენი უცხო ტომთ მწერალნი სომეხი არაქელ თავრიზელი და მუსულმანი ისკანდერ-მუნში ადგილობრივ კახეთში ამოხოცილთ გარდა, რომელნიც შეადგენდნენ 60—70 ათას სულსა, სპარსეთს გადასახლებულთ რიცხვს უჩვენებენ 100 ათასზე მეტსა. იმათ მაგიერ შაჰ-აბასმა კახეთში ადერბიჯანიდამ 150-ათასი კომლი თათარი დაასახლა. ივანეტუზის მწერალი შარდენი, რომელსაც მეჩვიდმეტე საუკუნეში საქართველოში და სპარსეთში უმგზავრია, იტყვის: „სპარსეთის სისხლი ახლა დიდად განშეენიერდა, რადგანაც ამას ქართული და ჩერქეზული სისხლი შემოერია; ქართველნი და ჩერქეზნი შეადგენენ უკეთესს ნათესაობას ქვეყანაზე აგებულობით და მხნეობით; სპარსეთში არც ერთი წარჩინებული პირი არ არისო, რომ ან ქართველი ან ჩერქეზიდედათ არა ჰყავნდესო, თვით შეფიდამ მოყოლებული რომელიც დედის მხრით, უეჭველად, ან ქართველია ან ჩერქეზია." იმ დროებში უკეთესი ჩვენი ემაწვილ-ქალობა და ემაწვილ-კაცობა სპარსეთს გადიოდა ან სპარ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხების სიმხლის გასამშვენიერებლად საზოგადოდ, ან საბრძოლველად სპარსეთის მოსაზღვრე მტრებთანა. იქ თვით ჩვენის სამეფო სახლის წევრთა და კეთილ-ძობილთა განგებ ამლევდნენ უმაღლეს სამხედრო და სამოქალაქო მოხელეობასა, რომ სპარსეთი შეეთვისებინათ იმათთვის, რადგან შაჰების გახზრახვა იყო ოდესმე მთელი ქართლ-კათი იქვე გადაესახლებინათ.

მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგ. შაჰ-აბასის დროდამ, ოსმალებსა და სპარსებს გარდა, საქართველოს სხვა მტერიც გამოუჩნდა. 1616 წელს შაჰ-აბასმა ამ სიტყვებით მიწმართა ლეკებს: „მსურს კახეთი ამოვწყვიტო; ამოჭხოცეთ ან დაატყვევეთ ყველა, ვინც კი იქიდამ ოქვენს მეზობლად მთებში ამოვიდა“. ლეკები ამ რჩევას შეუდგნენ. თავდა პირველად იმათ შეაწუხეს გალმა-მხარი. მრავალი იმათგანი დასახლდა ჭარში, ბელაქანში და ახლო-მახლო. ალაზანზე დასდგეს ბინა ანწუხელებმა, თებელებმა და ყირხის მცხოვრებთ... იმათ დაიწყეს დიდის პარტიებით ტანტალი; ისინი მოეფინებოდნენ კახეთში, სომხეთში, ქართლში. მთელი დალისტანი ფეხზე იდგა და უბედურს ჩვენ მხარესა სცემდა. ისინი ჩამოიგრიეებოდნენ წახურიდამ ელისუზე, სულიდამ ყუბზე, ყაშსამიდამ ნუხზე, მისიმზიდამ ბელაქანზე. თავისუფალი მისვლა-მოსვლა საქართველოში გაძნელდა: მთა,ბარი, ტყე, გზა, ქალაქებისა და სოფლების არე-მარე დაჭერილი იყო დალისტნელებისაგან. იმათ ჰყავნდათ ბელადები, რომელ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თაც ულოგელიგე ადგილები დაწერილებით იცოდნენ. თვით ხუნძახის მთავარი, ავარიის ხანი, დიდის ჯარით ხან აქ სცემდა, ხან იქა. ამ საგანზე ჩვენ გვაქვს შესანიშნავი დოკუმენტები, რომელნიც მეჩვიდმეტე საუკუნის გასულს და მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს შეეხებიან. ეს არის იმამ-ყული-ხანისა და თეიმურაზის წერილები სპარსეთში ჰუსეინ-ყული-ხანთან ანუ ვახტანგ VI, რომელიც იმ დროს ირანის სპასალარად და ადერბიჯანის ბეგლარ-ბეგად იყო. ამ წიგნებში გარკვევით და სულის ალბაშოთებელის დაწერილებით არის გამოხატული კახეთის ბედ-კრული სვე, იმისი განწირული მდგომარეობა, ლეკების მძვინვარება ს იმათგან სისხლის სმა. იმამ-ყული-ხანი და თეიმურაზ ევედრებიან ვახტანგსა, რომ იმან მიეარეველობა და შემწეობა გამოსთხოვოს სპარსეთის შაჰსა. აი რამდენიმე სიტყვა ამ წერილებიდამ. „;ჩვენ მუდამ დღე მახვილ ქვეშა ვართ; ლეკების ძალა უფრო და უფრო მატულობს; არც ერთი კუთხე არ დარჩა, რომ სისხლი არ იღვრებოდეს. თუ თქვენი მეცადინეობა და მეოხება შვებას არ მოგვცემს, ჩვენი საქმე წასულია, ჩვენს მხარეს ალარა იმედი არა აქვს რა...“ „აქამომდე ჩვენ გვებრძოდნენ მარტო ჭარელნი, თალალნი და ბირ-იქითნი ლეკნი; ახლა გულხადარას ჯარებიც შემოგვესია, დაღისტნელებს ბინა ბირ-აქეთულ ლეკებთანა აქვთ და იმათ მიიმხრეს ყაბალი, შაქი და სხვა...“ „ახლა ჩვენი მტრები გავაზში დგანან... გავაზელებთან და გაღმა მხრის ოთოლებთან იმათ მოლაპა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაკება დაიწყეს: „ჰაჰის შემწეობას ნუ მოელითო, ჰაჰის ჯარი დამარცხდაო, სჯობს ჩვენ მოგვეხმარეთო...“ თქვენ იცითო, რომ გლეხს მოკლე ჯვუა აქვს და ის მხოლოდ იმას იჯერებს, რასაც თვალით ხედავსო. იმათ მიიღეს მტრის რჩევა და თავიანთ მხარეს ბრძოლა აუტეხეს. არა თუ გლეხნი, ზოგნი თავადნიც იმათ მიეკერძნენ. თუ ამ ზათეხულს არას გვიშველიო, დანაშთენი კახეთიც გადადგება და ვაი ადერბიჯანსაც და გარეშე ადგილებსაც...“ შემდეგ ამ წერილებში ვკითხულობთ, რომ შიგნით კახეთი ლეკების მხარეს მიემხრო. რა ძალი ჩვენი ტომის ხალხი სხვა და სხვა დროს გადაუსახლებიათ ლეკებს დაღისტანში, ჩვენ ამაზე ცნობა არა გვაქვს. თუ მოვიგონებთ, რამოდენა ადგილებია ქართლ-კახეთში გაკერანებული, რამოდენა სოფელია დაცლილი, მაშინ ეჭვი არ აღარ უნდა გვქონდეს, რომ მრავალი ხალხი ამოუწყეტიათ და დაუტყვევებიათ ლეკებსა. ზაქათალის მაზრაში უამბნიათ ჩემთვის, სად და სად ცხოვრობს აქამომდე დაღისტანში გალეკებული ქართველობა. ეს ადგილები თურმე არის: ჯინგი, სუაგილი, ნოხური, გილ-მიწი, მუსლაგა, ხაგი, ქურდულა შეგურა, მიმილიშა, ეზგილა, ქოთოკლუ, ზურნა, მიქიქა. მოსლაგის მთებში ეკლესიებიც თურმე არის აქამომდე და იქ თვითონვე აღიარებენ თავიანთ ქართველ შთამომავლობასა. ზოგიერთს იმათგანს ძველი ქართული წიგნებიც თურმე აქვთ აქამომდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II

ეს იყო საქართველოს მდგომარეობა, როდესაც ქართლის ტახტი მუხრან-ბატონის სახლმა დაიჭირა. მუხრან-ბატონები ჩამოვიდნენ შტოს კონსტანტინესას, რომლის დროს საქართველო სამეფოდ სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაიყოფა. კონსტანტინეს შვილის დავით მეფის ძმამ ბაგრატმა, ვახუშტის სიტყვით, „გამოსთხოვა დავითს მუხრანი საუფლის-წულოდ და არაგვისა და ქსნის-ხევნი მთიულ-მოხევითურთ, თვისსა მორჩილებასა ქვეშე. რომელიცა არს მიერიდგან ერთ სამფლობელოდ ანუ სადროშოდ“ ბაგრატის შემდეგ მუხრანის საუფლის-წულოს განაგებდა უფროსი შვილი ანუ ძმა. მუხრან-ბატონებმა აღმოაჩინეს დიდი მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაში: ისინი ებრძოდნენ სპარსებსაც, ოსმალებსაც. იმათში განსაკუთრებით ჩვენის ყურადღების ღირსნი არიან: თეიმურაზის ძე ვახტანგ მეხუთე, რომელიც იშვილა უშვილო ქართლის მეფემ როსტომმა და ამის შემდეგ 1658 წელს მეფედ დაჯდა. ვახტანგის შვილებში ცნობილნი არიან: გიორგი მეოერთმეტე, ვახტანგის მემკვიდრე, არჩილი დიაღ მოქმედი პირი და მწერალი, აგრეთვე ლევანი, ვახტანგ მეექვსის მამა. როდესაც მუხრან-ბატონებმა ქართლი დაიჭირეს, საქართველო შემცირებული ქვეყანა იყო, საკთაბაგო ჩვენ ადარ გვეგუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვნოდა. ის მოგვგლეჯეს ოსმალებმა და თავშალიკად დასდეს; აქ იმათ ათაბაგის მაგიერ თავშა დასვეს; თავისი წესი და ყოფა-ცხოვრება შემოიტანეს; თავისი სჯული და ენა დაამყარეს. იმერეთი სანუგეშოს არას წარმოგვიდგენდა. იმერნი ებრძოდნენ ერთი მეორეს და ოსმალებს, რომელნიც ცდილობდნენ ისინი ისე დაემონავებინათ, როგორც მესხნი დაიმონავეს. კახეთი დიდად მისუსტებული იყო. კახეთიდამ დიდძალი ხალხი გაეაასახლეს სპარსებმა მაზანდარანს და ხორასანს და იმათ მაგიერ აქ დაასახლეს თათრები. თუმცა კახეთს საკუთარი მეფეები ჰყავნდა, მაგრამ იმას ნამდვილ განაგებდნენ ყეენთაგან დადგენილი ხანები, როგორც იმათი გულის-წადილი და სპარსეთის მეფეები მოითხოვდნენ. ქართლიც არ იყო უკეთეს მდგომარეობაში. მართალია აქ ქართული წეს-დება ჰსუფევდა, მაგრამ ისიც უკან და უკან ბიდიოდა. აქ როსტომ მეფის დროდამ სპარსეთის ზნემ და ჩვეულებამ ტოტ-ტოტად იწყო თავისი მოქმედება. უმთავრესი ქართლის ციხესიმაგრეები, იმათ შორის მეტეხი თეიმურაზის სპარსების ხელში ჩაცვინდნენ. მეფეებს ტახტზე ასვლის ნებას ყეენები იმ პირობით აძლევდნენ, თუ ისინი მაჰმადის აღსარებას აღიარებდნენ. ამ ბედ-კრულმა მდგომარეობამ დასდო საფუძველი საქართველოს კავშირისა თანამორწმუნე რუსეთთან. უკმაყოფილნი, დევნულნი შურით თუ საქმის გარემოებით ზოგნი მაღლად დადგენილნი საქართველოს შვილნი [illegible] რუსეთს, იქ

Тбилисский Филиал
Библиотека
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეძებდნენ ნუგეშსა და შემწეობასა. დასაწყისი საქართველოს დამოკიდებულებისა რუსეთთან პირველად აღმოჩნდა მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს, როდესაც სპარსეთს ბძანებლობდა მძვინვარე შაჰ-აბაზი და რუსეთს მეფე გოდუნოვი. ზოგნი რუსეთს მთელის ოჯახობით გადიოდნენ. დადიანის ვამეყის სახლობამ სამეგრელო სრულებით დასტოვა და რუსეთში დასახლდა. ირაკლი, შემდეგ კახეთის მეფე, იქვე ცხოვრობდა და იზდებოდა. ვახტანგ მეხეთის შვილმა არჩილმა იქვე დაასრულა თავისი აღელვებული ცხოვრება. რუსეთში ვპოულობთ ვახტანგ მეექვსის ძმას დომენტის, შემდეგ საქართველოს კათალიკოზს. რუსეთის გავლენა საქართველოზე ისე გაძლიერდა, რომ, როგორც ამას მაშინდელი მწერალი გრუზინსკი ამბობს, ეექნი დიდად თურმე შიშობდა, რომ ვახტანგ მეექვსისაგან ლეკების ძლევით რუსეთს არ მისცემიეო შემთხვევა შემოსვლისა სპარსეთის ჩრდილოდ. აქ უნდა მოვიხსენოთ ორი ღირს-სახსოვარი ფაქტი, რომელიც მუხრან-ბატონების დროს შეეხება: პირველია რომის მისიონერების შეშოსვლა ჩვენში, მეორეა ქართველების შრომა სალიტერატურო ასპარეზზე. რომის მისიონერები, რომელთაც კათოლიკის აღსარება დაუმყარებიათ თბილისში, გორში, ქუთაისში და ახალციხეში, პირველად შემოსულან საქართველოში მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს. მისიონერები ეოფილან დახელოვნებული მგურნალები და ხირურგები და ამისგამო ისინი დიდის პატივით შეუწყნარებიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შარდენის სიტყვით, დადიანს მიუღია თეატინები 1627 წელსა. ქართლში ვახტანგ მეხუთეს კაპუცინები დაუსახლებია თბილისში და გორში, სადაც ნება მიუცია შათთვის კათოლიკის აღსარების გავრცელებისა. ქაიხოსრო, ვახტანგ მეექვსის ძმას, კრუზინსკის თქმით, უხვად დაუჯილდოებია მისიონერები თბილისში, გორში, თავრიზში და განჯაში; ქაიხოსროს ქირმანში ორი კაპუცინი თურმე დაჰყვებოდა და თვით კათოლიკის სარწმუნოებაში თურმე აღესრულა. ვახტანგ მეექვსეს გამოუთხოვნია ეფრანციის კაროლისთვის ლუდოვიგ მეთოთხმეტისათვის სხვა მისიონერებიცა, რომელნიც 1715 წელს საბა ორბელიანს მოჰყოლიან. მისიონერებს უსწავლიათ ქართული ენა და სასწავლებლები დაუწესებიათ. იმათ შორის ზოგნი შესდგენიან ქართული ენის გამოკვლევასა და საქართველოს აღწერასა, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევიათ. მისიონერების გავლენას უნოა მივაწეროთ ჩვენ ის შემთხვევა, რომ საქართველოში აღმოჩენილა ლიტერატურის მოძრაობა: სტამბის დაფუძნება, საღმთო წიგნების ბეჭდვა და თვით ახალი მწერლობა. რომ იმ დროს მრავალნი ქართველნი ერთისა და იმავე ხელით იბრძოდნენ და სწერდნენ კიდეცა, ეს შემთხვევა თუმცა დიდად გასაოცარია, მაგრამ უეჭველია. კახეთის მეფეს თეიმურაზ მეორეს, კახტანგ მეექვსის სიძეს უთარგმნია სპარსულიდამ ქართულად ლექსებით საძიგნურო თხზულება „ოსეს და ზიღიხა“, საიდამაც შემდეგ იმასვე შეუდგენია „ვარდ-ბულბულიანი“. არჩილ მეფეს ანუ შაჰ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაზარ-ხანს დაუწერია „არჩილიანი“, რომელიც თეიმურაზის ცხოვრებას წარმოგვიდგენს. ერთი ნაწილი „არჩილიანისა“ იმას შეუდგენია ოსეთში, მეორე — ასტრახანში. გარდა ამისა ჩვენამდე მოუღწევია სხვა სალიტერატურო შრომასაც: გურამი-შვილის ლექსებს, სეხნია ჩხეიძის და თვარსადან გიორგიჯანიძის ისტორიულ მოთხრობას და შუსუკმანის სჯულ-დებას, რომელიც თვარსადანს როსტომს ძეფ-ს მინდობით სპარსეთში უთარგმნია და აგრეთვე მაჰმადის სჯულსა, რომელიც შაჰ-აბაზის ბძანებით იმასვე არაბისტანში არაბულიდამ ქართულად გადმოულია. ვახტანგ მეექვსის ბიძას საბა-ორბელიანს სხვათა შორის შეუდგენია „სიბრძნე სიცრუის წიგნი“ და პირველი ლექსიკონი, რომელიც ჩვენ ყოველთათვის დიად ცნობილია. აქ უხდა დავეთოთ, რომ არც ერთ ქართველს, არც უწიხ, არც შემდეგ ლიტერატურის ასპარეზზე ისეთი ღვაწლი არ დაუდგია, რა ღვაწლიც დასდეს თვით ვახტანგ მეექვსემ და იმისმა შვილმა ვახუშტამ. ამ საგანზე თავის ადგილს ვიტუვი.

ვახტანგ მეექვსე იშვა 1675 წელს, ესე იგი იმ დროს, როდესაც იმისი ბიძა გიორგი მეთერთმეტე ანუ შაჰ-ნავაზ მეორე ქართლის ტახტზე დაჯდა. მამა ვახტანგისა ლევანი ორჯელ იყო დაქორწინებული: პირველ ცოლთან, გურიელის ქალთან თუთასთან იმას ჰყოვნდა სამი ვაჟი: ქაიხოსრო, ვახტანგი და დომენტი და ერთი ქალი ხვარამზე; მეორე ცოლთან გიორგი ავალი-შვილის ქალთან თინა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თინთან ჭეკვანდა იასე, სვიმონი და თეიმურაზი. რადგანაც ლეკვნისა და იმის მონათესავეების მოქმედება ქართლში და კახეთის ხანთან შაჰ-აბაზის შვილის შაჰ-სულეიმანის წინააღმდეგი საქმე იყო, ამისთვის იმან გიორგი მეფეს მოსთხოვა, რომ ესენი სპარსეთს გაესტუმრებინა ლეკვანი, იმისი ბიძა ლუარსაბი და გიორგის ძე ბაგრატი ბძანებას დაჭმორჩილდნენ და ყეენის სამეფოებელოში წავიდნენ. შაჰ-სულეიმანმა ლეკვანი და ბაგრატი ჭერათში დაატყვევა, ლუარსაბი ქირმანს გაგზავნა. ყეენმა თვით გიორგიც თავისთან მიიწვია და ქართლი მიანდო კახ-ბატონს ირაკლის ანუ ნაზარ—ალი ხანს, რომელსაც აღზდა მიეღო რუსეთში და 14 წელიწადი ისპაანში დაეყო. გიორგიმ უკმაყოფილება გამოაცხადა და რაჭას ავიდა. ირაკლი თბილისში დაჯდა. „ირაკლი, ვახუშტის სიტყვით, იყო ქართლისა და წესთა საქართველოსათა უცნობელი და მეფობისა გამოუცდელი; უშკერთა მოუბარი; სმისა და შვებალხინთა მოყვარე; მტირედთა ყურის მიმპყრობი და დიდთა დამდაბლებელი. ირაკლიმ დაამტირა ერთგულნი გიორგი მეფისანი, ზოგთა მიუხვნა მამულნი და აღამაღლნა კახნი და მისცნა მათ მამულნი მათნი. ირაკლიმ დასხნა თვისნიგე კათალიკოსად და მთავარ-ეპისკოპოზებად; დაადგინნა თვისნიგე კარის-გამგედ, მსაჯულთ-უხუცესებად და ვეზირად; მათ მიანდო საქმენი ყოველნი ქვეყანისანი და თვით მარადის იშვებდა, იხარებდა და ნადიმობდა“. გიორგიმ ქართლით აუტეხა ირაკლის ბრძოლა, რომელშიაც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსაწილედ არჩილის გარდა ვახტანგსაც ვხედავთ, მაგრამ ირაკლიმ იმას სპარსეთის ჯარის შემწეობით სძლია. ლევანის შვილმა ქაიხოსრომ და იმის შემდეგ თვით გიორგიმ ყეენთან ხლება არჩიეს. ამ დროს ვახტანგი იყო 15—20 წლის უმაწვილი კაცი. ის შეუუღლდა რუსუდანს, ჩერქეზ-ბატონის ასულს, რომლის ძმა ადილ-გირეი შემდეგ ვახტანგს რუსეთს გადაჰყვა და იქ დაესახლა. მიხდილი თავის მამის საუფლისწულოისა, ვახტანგი დაიარებოდა აქა-იქ და უფრო იმერეთში ცხოვრებდა. ვახტანგი ემზადებოდა რუსეთს, მაგრამ იმ დროს გიორგი მეფის და ვახტანგის მამის მოღვაწეობამ ქირმანში დაუბრუნა იმათ ყეენის მოწყალეობა. ეს მოღვაწეობა დიად ღირსია ყურადღებისა: სპარსეთს აეშალნენ ბელუჯნი და ავღანნი. ჩვენის წყაროების ცნობით, „ისინი არბევდნენ სპარსეთს ქირმანით იეზდამდე და რავდენ გზისცა წარავლინის ყეენმან სპანი და სარდალნი, მარადის იგინი მძლე ექმნებოდიან მათ. ამისთვის აიძულებდა ყეენი გიორგი მეფეს, რათა განაგოს მან საქმე ესე და მიანიჭოს მას კვალად ქართლი. შემოიკრიბნა გიორგიმ სპანი ქირმანისანი და ქართველნი მისთანა; ვლო უდაბნო ძნელი და უწყლო და მიეწია მათ. მხილველნი იგი განმაგრდნენ კლდე-გორათა ზედა. მაშინ განუო გიორგიმ სპანი თვისნი: ერთ კერძოდ ლევან ძმა თვისი და ქართველნი, და ერთ კერძოდ ქირმანელნი და თვითცა ერთ კერძ მიეტევნენ ფიცხელად და შეუხდნენ ქართველნი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბანაკთა მათთა და შემუსრნეს იგინი და მოსწყვიდნეს სრულიად, და მოიქცა მეფე ქართველნს. ამის წილ ყენმან მიანიჭა მას ნიჭნი ურიცხვნი და ლეონს მისცა მსაჯულოუხუცესობა ერანისა და ქაიხოსრონს ტარულობა ისპაანისა და მოუწოდა ლევანს წინაშე თვისსა ისპაანს. მაშინ აუწყა გიორგიმ ყენსა ძმისა თვისისა ლევანისგამო. რამეთუ მწერ არსო ძე ჩვენი ვახტანგ იმერეთს და უკეთუ არა რაი ეყოს მას შეწევნა ჩვენ მიერ, წარგვალსო იგი რუსეთს". ასე ანუ ამის თანახმად გვიამბობენ ვახუშტი და სხვანი თანა-მედროე მწერალნი, რომელნი ქართველნი, აგრეთვე უცხო-ტომნი, იმათ შორის კრუზინსკი და ჭანჭეი. შაჰმა გიორგის თხოვნიო მიუწერა ირაკლი მეფეს, „რათა მოიყვანოს ვახტანგ ქართლს და მისცეს მას ყოველნი სუფლის-წულონი მამისა თვისისა ლევანისანი" შაჰმა თვით ირაკლი ისპაანს მიიხმო, ქართლი ისევ გიორგის დაუმკვიდრა და კიდრე გიორგი დაბრუნდებოდა ქართლის განმგედ ვახტანგი დანიშნა. ეს იყო 1703 წელს. ვასტანგი იყო—იტყვიან ვახუშტი და სეხნია ჩხეიძე—მშვენიერი, ჭაღრეოვანი, მუშაკი, უხვი და მშვიდი, არამედ ჟამთა მრისხანეცა; სამღვდელოთა პატივის-მცემელი, ქვრივ-ობოლთა და გლახაკთა მიმტემი; ეკლესიათა მაშენებელი. ვახტანგმა განაახლა, სხვათა შორის, თბილისის სიონის გუმბათი, შეამკო სვეტი-ცხოველი, ალმართა ურბნისის ზღუდე, გასწორა არხები ნახიდურში, ყალაღირში, ლისში, ყარაიაში, და აქ თვით სოფლებიც გააჩინა; გააშენა უდა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბურ ადგილში დაბა ხუნანი; ააშენა თბილისში მშვენიერი სასახლე და შეამკო იგი. თუმცა ვახტანგ იყო კამეგე, მაგრამ მეფედ თურმე იხსენებოდა. ვახტანგმა გააშენა და გააკეთა ქართული, „რამეთუ რომელნიცა ყამსა ირაკლი მეფისასა შთასრულ იყვნენ კახეთს ქართველნი, იმან ბრძანებითა ყეენისათა გამოიყვანა ყოველნი და დასხნა თვისთავე ადგილთაზედა. ალარ იყო ტყვის გასყიდვა. ნაზარ ალიხანი, ვითარცა რუსტომ მეფე, მრავალ-გზის წარუვლინებდა ყეენსა ტყვეთა, ხოლო ვახტანგ უკეთუ არა მოითხოვდა ყეენი არა წარუვლინებდა, მასცა უმეტეს მოყიდულთა. ვახტანგმა განაწესა სპანი როქითა მტკვლად თვისთა: 'იმან მოიყვანა ვლახეთით ანუ ვლახიით მესტამბე, გააჩინა სტამბა, განამრავლა სალმოო წერილი. ამ დროს პირველად დაიბეჭდა ქართული ენაზე ბიბლია ანუ დაბადება. სტამბა მოქმედებდა მხოლოდ ვიდრე ვახტანგი საქართველოში იმყოფებოდა და იმის შემდეგ კი გაუქმდა ირაკლი მეორის დროამდე. ვახტანგი სხვა შრომასაც შეუდგა. ეს არის სამოქალაქო კანონი, რომელიც ვახტანგის სჯულად იწოდება, რომელიც იმის დროდამე სახელ-მძღვანელად დაიდო საქართველოში და ჩვენამდე ხმარებაში იყო. ჩხეიძის მოხსენებით, ვახტანგმა „გააჩინა რა წიგნი სამართლისა, ოთხშაბათს და პარასკევსა დაჯდის სამდიენოსა სახლსა, განაგებდა სამართალსა მცირეთა და დიდებულთა თანა". ვის შემწეობით, საიდამ და რა განზრახვით შეუდგენია ვახტანგს სჯულ-დება, ამას ის თვითონვე მოგვითხრობს შესავალში: „ნურავინ ჰგონებთ—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იტუკის ის — რომ ჩვენ მხოლოდ თავით ჩვენით რასამე
ვუოფდეთ, არამედ თანაუოლითა და მოწმეობითა ძღუ-
ნელთ მთავრისა დიდისა დედა-ქალაქისა მცხეთისა ძმისა
ჩვენისა კათალიკოზის დომენტისითა, აგრეთვე თანა-
დგომითა ერისთავთა, მთავარ-ეპისკოპოზთა, წინამძღვართა
და კითხვითა ჭკვათა მოოფელთა და მოხუცებულთა კაცთა-
თა გავაჩინეთ და დავსწერეთ რომელსა მივსწვდით და ან
გონებანი ჩვენნი სამართალსა მიჭვდნენ". ადგილობრივთა
სჯულ-დებათა გარდა, რომელნიც ძველადვე ჩვეულებად
ოოფილან საქართველოში მიღებულნი, ვახტანგს ჩაურთავს
თავის კანონში „მოსეს მიერ ქმნილნი სამართალნი და
კვალად ბერძენთა და სომეხთა წიგნთაგან გარდამოთარ-
გმნილნი, აგრეთვე კათალიკოზისა და მეფისა გიორგისა
და ბექას სამართლები". „ქართული ოოფილა — განაგრძობს
ვახტანგი — ოოვლითა კეთილითა შემკული და შეზავებული,
ხოლო ცვალებითა დღეთა და ვითარებითა ყამთათა თვით
სიბრძნით და თავით თვისით სჯიდენ და განაგებდენ ვი-
ეთნიმე მოუკსობით, ვიეთნიმე მეგობრობით, ვიეთნიმე
მიდრეკილებით, ვიეთნიმე ღვთისა ურიდებლობით და ვი-
ეთნიმე მიღებითა ქრთამისათა. მეფენი ბევრჯელ დიდად
ამაღლებულნი და ბევრჯელ ყამთა და დროთა ცვალებით
ასრე დამდაბლებულან, რომე ოდენ სახელილა რქმე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქნას, თუ არა მეფობის უქნელობა სჯობს და ხელის აღებ-
ბა“... ვახტანგის სამართალი და იმისივე „დასტულამალი“,
რომელიც, როგორც ფიქრობენ, ამ დროსვე შედგენილი,
სპარსეთის სახელმწიფო დაკვირების მიბაძვით, შეიცავს
მთელს სურათს საქართველოს გამგეობისას. „დასტულა-
მალი“ უჩვენებს ყოველ-გვარ შემოსავალს საქართველოს
მეფეებისას, შემოსავალს და ჯამაგირს სახელმწიფო მო-
ხელეებისას, აგრეთვე რა გვარი მეურნეობის წესი ყოფი-
ლა ჩვენში, და რა გვარი დამოკიდებულება ჰქონიათ სა-
მეფო სახლის მოხელეებს სახელმწიფო უმთავრეს მოხე-
ლეებთან.—ჩვენ არ ვიცით დაჯეშმარიტებით, რა დროს
არის შედგენილი ვახტანგის „ქართლის ცხოვრება“. ჩვენ
ვფიქრობთ, რომ ის იმავე დროს უნდა ეკუთნოდეს, რა
დროსაც ეკუთნის „სამართალი“. „ქართლის-ცხოვრების“
წინა-სიტყვაობა იტყვის: „პატიოსანნო და დიდებულნო
ქართველნო, ყამთა ვითარებისაგან „ქართლის-ცხოვრება“
გარეკნილ იყო: რომელიმე მწერალთა მიერ და
რომელიმე ყამთა ვითარებისაგან არღარა წერებულ
იყო; ხოლო ვახტანგმან, ძემან ლეონისამან და
მმის-წულმან სახელოვანის გიორგისამან შეკრიბნა მეცნი-
ერნი კაცნი და მოიხვნა საცა რამ „ქართლის-ცხოვრებანი“
ეპოვნა, და კვალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და
მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი, და შეამოწმეს,
და რომელი განრეკნილ იყო, განმარეს, და სხვაცა წე-
რილნი მოიხვნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რებისაგან გამოხვნეს და ესრეთ აღწერინეს". მართლა და ჩვენ ვიცით, რომ ძველადვე ეოთვილა საქართველოში სხვა და სხვა „ქართლის-ცხოვრებანები , *) საიდამაც შემდგარა ვახტანგის „ქართლის-ცხოვრება". იქ, სადაც ვახტანგს დაუსრულებია, იმის სახელოვან ძეს ვახუშტის მიუმატია ხელი და განუგრძია.

დიდს განცვიფრებაში მოვუყვართ ეოველსავე ზემო-ხსენებულს ვახტანგის შრომასა. სად ჰქონდა იმას მოსვენება და დრო? ჩვენ ვნახეთ, რომ მთელი საქართველო შეიარაღებული იყო: შინაური აღრეულობა, ერთი-ერთმანეთთან და გარეშე მტერთან ბრძოლა არა სწყდებოდა; მაგრამ ამ გვარი საქართველოს მდგომარეობა არა თუ არ ასუსტებდა, არამედ უფრო და უფრო აღვიძებდა ვაგტანგის მაღლად მინიჭებულ გონებას და მზრუნველობას მამულისადმი. ნუ დავიწყებთ, რომ იმას სხვა მრავალ-გვარი უბედურებაც სდევნიდა. 1709 წელს, 21 აპრილს, ყანდაარში მირ-ვეისმა ვახტანგს ბიძა გიორგი მოუკლა და იმასთან მეოთხი ქართველნი აპოსწყვიტა. იმავე წელს, 13 ივლისს. ისპაანში მიიცვალა ვახტანგის მამა ლევანი. უფროსი ძმა ვახტანგისა ქაიხოსრო შეიქმნა სპარსეთის სპასალარად, რომელსაც ვახტანგმა მირ-ვეისთან საბრძო-

*) სხვა საბუთების გარდა ამ ფაქტს ჰმოწმობს ერთი გუჯარი 1564 წლისა, რომელიც საქართველო-იმერეთის კანტორაში იპოება და რომელიც მცხეთის კაფედრის ბიბლიოთეკის რიცხვში ქართლის ცხოვრებასაც მოიხსენებს (იხილე ჩემი კატალოგი, გვერდი 572).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლად წარუგზავნა არჩეული მხედარნი. ქაიხოსრომ თავ-
დაპირველად, 1710 წელს, მირ-ვეისს სძლია, ძმა და
ძმის-წული მოუკლა. შემდეგ სპა მისუსტებული მუცლის
სენისაგან და საკუთარის ძმის იასეს ღალატისაგან, ის
იძლია: ჯერ მოკლული იქმნა იმისი ძმის-წული, არჩილის
შვილი ალექსანდრე, შემდეგ, 26 ოკტომბერს, 1711 წ,
თვით ქაიხოსროცა. ნაღვლით სავსემ და მწუხარე ვახტან-
გმა სპარსეთს წასვლა განიზრახა. ამ შეთხვევას სხვა მი-
ზეზიც დაერთო: სპარსეთის შაჰი უკმაყოფილო იყო ვახ-
ტანგზე იმისგამო, რომ ის ცდილობდა საქართველოში
ქართველების ამაღლებასა და სპარსების დამცირებასა. სა-
ქართველოში მყოფნი სპარსნი ვახტანგს შაჰთან ასმენდნენ.
ვახტანგმა ნება მოითხოვა შაჰთან ხლებისა. მოვიდა მეჩ-
მედარი მიმწოდებელი. ვახტანგმა ცოლ-შვილი გორს
დასტოვა, ქართლის გამგეობა თავის ძმას სვიმონს მიან-
დო და 22 აპრილს 1712 წელს გაემგზავრა: თან ახლ-
დნენ დარბაისელნი, მცირენი და დიდნი, რიცხვით, ჩხე-
იძის თქმით, 300-მდე, კრუზინსკის მოწმობით 3-ათა-
სამდე; იმათ შორის თვით სეხნია ჩხეიძე. „ჩავედით ისპა-
ანს — მოგვითხრობს ჩხეიძე — დახვდა ხელმწიფე მხიარულად.
მეორესა დღესა უფო მეჯლიში, დაჯდა ნადიმად, სვეს ხე-
თასა საათსა, უბოძა თასი მურასა, წამოვედით მხიარულად,
შეგვექნა სიმხიარულე, ვიუკვეთ განსვენებასა და ლხინსა
შიგან“. ვახუშტი იტყვის; „მისრული წინაშე ყეენისა ვა-
ხტანგი პატივ-ცემულ-იქმნა დიდითა პატივითა და შეკვა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რებულ თრიად სიგეთისა მისისათვის და უთქმიდა მაჭმადიანობასა და უქადებდა ნიჭსა დიდსა და მსწრათულ გამოტევებასა. არამედ მან არა თავს-იდვა, მეტუველმან: „მე მოგვედ, რათა არა დამართონ მტერთა და შეირყეს ქართლი. გარნა არიან ძმანი ჩემნი მაჭმადიანნი და რომელი გნებავს წარავლინე და მე ვეუო წინაშე შენსა“. მაშინ ინება უეენმან წარმოვლინება ვახტანგისა სჯულითა თვისითა, არამედ არა აუთვლნეს ომართა, განზრახთა თვისთა და არცა ინება იასემ ნებითა ვახტანგისათა გარმოსვლა“: იასე არ დასცხრა. „იასემ აღუდგინა ძმასა თვისსა ვახტანგსა თბილისის გუშაგნი და შეასმენდნენ უეენსა დაწვასა ყორანისასა და სხვათა მრავალთა უჯერობათა მაჭმადიანთა ზედა. ამისთვის მოგზავნა უეენმან ხოლოთა თბილისს, რათა სცნას, რა ბოროტი უქმნიეს მაჭმადიანთა ზედა ვახტანგს. არამედ იდუმალ ამცნეს ხოლოთას, უგეთუ იცეს ყამი, დაიპყრას ქართლი და სვიმონ მუნ წარავლინოს. ხოლოთასთან შეიზრახნეს სვიმონ და მთავარნი ქართლისანი ვახტანგის ბოროტსაზედა, რამეთუ რაყამს დაიპყრა ვახტანგ ოვსეთი და განიწყო მცველნი თვისნი, მიერით ეშინოდათ გიორგის და დათუნას ერისთავთა მამულთა მათთა დაპყრობისათვის, ამისთვის მოუწერეს უეენსა: არა გვნებავს ვახტანგ, არამედ მოგვიგლინე იესე. ხოლო უეენსა რა ესმა ვახტანგისათვის ესენი აღუძნდა და არა ინება ეგრეთ. არამედ ომართაგან იძულებულმან წარმოავლინა იესე მეფედ ქართლისად ნიჭითა, „ვინადგან აღეთქვა იესეს უეენისათვის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარგლინებად დედოფალი და ძენი ვახტანგისანი და ხუთასნი ქართველნი ცოლ-შვილით, რათა დაასახლოს თვრაბათს. 1714 წელს ისევ თბილისში მეფედ დაჯდა, ალიეული ხანად წოდებული და ფრიად მიქცეული მაჰმადიანობასაზედა, მდიდარი და ამაყი მშვებელი და გამცხრომელი უწესოებითა ერმათა თანა და უგვანთა მღერათა. გარნა მქცევი დიდებულად წაგვარა ცოლი დვდის ბიძასა თვისსა ქაიხოსრონს ამირეჯიბს ბებიის ძმის-წული თვისი და შეირთო თვით ცოლად. ამხილეს კათალიკოზ-ეპისკოპოზთა და უმეტეს იოანე სააკაძემ გარეჯის ბერთუბნის მამამანი, კაცმან ღირსმან. არამედ მან არა უსმინა მეტუველმან: ვარ მე მაჰმადიან, ესრეთ ჯერ არს ჩემდა. ამ ყამად ჯარელებმა გამოვლეს კახეთი, მოვიდნენ ხუნანს, მოსწყვიტნეს და მოსტუვენეს დაბნები. ისევ ვერ შეასრულა—განაგრძობს ვახუშტი— დაკედრებული ყეენისა., მაშინ მოიყვანა ყეენმან ვახტანგ, მისცა ქართლი და სპასალარობა ერანისა, და მიაქცია 1716 წ. სჯულსა მათსა, და წარმოავლინეს თავრიზს, რათა წარავლინოს სპანი ხორასანს და მოსცეს გამგეობა ქართლისა ბაქარს, ძესა მისსა". „ბაქარი იმერეთიდამ მცხეთას გამოვიდა, ისევ კახეთს გავიდა, ბაქარმა ის კახ-ბატონს იმამ-კული-ხანს გამოსთხოვა, მაგრამ იმამ-კული ხანმა უარი უთხრა. მაშინ შაჰმა გაგზავნა თავისი მურდარი, რომელმაც ისევ შეიპყრო და ბაქარს ჩააბარა; ბაქარმაც ის დაატუსაღა თბილისის სასახლეში". ეს ამბავი მოხდა 1716 წელს. ბაქარი მიაქციეს მაჰმადის სჯულზე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუმცა, ვახუშტის თქმით, სიტყვით და არა საქმით. ბაქარის დროს ჩამოიკრიბნეს დაღისტნიდამ დიდ ძალნი ლეკნი. იმათ მიემხრეს ჭარელნი, მოსრეს ქართველები და დატვირთულთა შთავლეს ყარაია, სადაცა მრავალი იმათ შორის სიცხე—უწყლობით ამოიხოცა. ამ დროს ბირველად გამოჩნდა მოქმედ ბირად ვახტანგის ძე ვახუშტი. ვახუშტი იყო უკანონო შვილი ვახტანგისა, თუმცა არ ვიცით ვინ ჰყვანდა იმას დედად. ბრძოლსეს შენიშვნით ვახუშტი უნდა იყოს დაბადებული მეჩვიდმეტე საუკ. გასულს და როდესაც სტენაზე გამოვიდა, 15—20 წლის უნდა ყოფილიყო. ვახუშტს შემდეგაც ვხედავთ სამხედრო ასპარეზზე; მაგრამ ის ამ მხრით არ არის ჩვენთვის შესანიშნავი. იმისის დაუცხრომელის მიდრეკილების საგანი მეცნიერება იყო. უმაწვილობითვე ვახუშტს ისეთი ხშირი დამოკიდებულობა ჰქონდა კათოლიკის მისსიონერებთან თბილისში, რომ იმას კათოლიკობაც შესწამეს. ვახუშტმა ისეთი ღვაწლი მიაგო მთელს საქართველოს, რომელსაც ჩვენს ენაზე მხოლოდ იმის მამის ვახტანგის შრომა უდრის. ეს არის იმისი წარჩინებული „საქართველოს გეოგრაფია“ კარტებით და „საქართველოს ისტორია“, რომელიც აქ ადგილ-ადგილ ხელთ-მძღვანველად გვაქვს. ერთი ცნობა მოიხსენებს, ვითომც ვახუშტს თავისი ისტორია რომში შეედგინოს. ჩვენ არ ვიცით, მართალია თუ არა ეს ცნობა. არც ის ვიცით იყო თუ არა ოდესმე ვახუშტი რომში. ეს კი უეჭველია, რომ ვახუშტს „საქართველოს ის-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტორია“ „გეოგრაფიითა“, რომელიც თვით „ისტორიის“ წაწილს შეადგენს, დაუსრულებია 1745 წელს მოსკოვში, სადაც ის დამკვიდრებულა შემდეგ იმის სახლობის გადასვლისა რუსეთს და სადაც 1770 წ. გარდაცვლილა.

ვახტანგი 1717 წელს დაბრუნდა ქართველს სპარსეთიდამ. სპარსეთში იმან დაჭყო ხუთი წელი. აქ იმას ეს დრო უნაყოფოდ არ გაუტარებია. ვახტანგს ისპაანში უთარგმნია ქართულად სპარსული იხიჯი ანუ წიგნი ვარსკლავომრიცხველობისა და ცის-ქმნულებისა, რომელიც თვით იმას 1721 წელს თავის სტამბაში თბილისში დაუბეჭდია. გარდა ამისა ვახტანგს უთარგმნია ქირმანში სპარსულიდამვე ქილილა და მანანა ანუ ქოლილაჭ-ვე-დიმნაჭ, რომელიც უფრო ანვარი — სოჭაილად იცნობება. ამ წიგნის ქართულს თარგმანში ბრძოლა ეგუთვნის ვახტანგს, ლექსი სულხან-საბა-ორბელიანს. ქილილა და მანანა შეიცავს სანსკრიტულს ზღაპართ-კრებასა და იმითია ღირსი უურადღებისა, რომ ის სპარსეთში სულ ბირველად შემოუტანიათ ინდოეთიდამ სასანიდების დინასტიის დროს, უთარგმნიათ მრავალს აზიურსა და ევროპიულ ენებზე და თვით ქართულად გადმოუღიათ ბევრით ადრე ვახტანგზე, ესე იგი თამარ დედოფლის დროს. — რაც რომ ზემოდ ვახტანგის ყოფაზე სპარსეთში ცნობები ვუჩვენეთ ჩვენის წყაროებიდამ, იმას უცხო-ტომთ მწერალნიც ჭმოწმობენ. აი რას ამბობს კათოლიკი კრუზინსკი, ვახტანგთან დიალ დაახლოებული ბირი. „როდესაც ვახტანგი წარსდგა სპარსე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თის სასახლეში, ის პატივის-ცემით მიიღეს. იმის ამალას დღეში 50 თუმანი დაუწესეს, თვით იმას მოსთხოვეს, რომ მაჭმადიანობა მიიღოს, თუ მეფობა ჭსურს. ვახტანგმა ტახტის უარის ყოფა ირჩია. მაგრამ თვით იმის სახლის-წევრთ შესმენით ის გაისტუმრეს, თუმცა პატივით, ქირმანს. ვახტანგის ძმის-წულმა საქართველოს პატრიარქმა *), ისურვა ტოლის შერთვა და მაჭმადის სჯულის მიღება, მაგრამ იმისმა მამამ, ისპაანის მსაჯულთ-უხუცესმა და სარწმუნოებით მუსულმანმა, რომელიც შემდეგ მცირედის ჟამისა კათოლიკედ აღესრულა **), აღმოჩენილა იმას ეს წადილი მკატრის ცემითა. ვახტანგის უმცროსი ძმა ისე მაჭმადიანი შეიქმნა და ქართლის მეფედ დაჯდა. ოთხი წლის შემდეგ ვახტანგი ეკლესიარიდამ დაიბრუნეს იმ განზრახვით, რომ ის თავის ქართველობით ავგანებს შეჭბრძოლებიყო. ვახტანგმა ჯერ უარი ჭყო ქრისტეს სჯულის დატოვებისა, თუმცა იმას ჭსურდა ბერძნის აღსარების შეცვლა. ამ განზრახვით იმან გაგზავნა ერთი სანდო პირი, ბარონი ელიზბარ ბითონი, სომხის კათოლიკი მიდანში მამა ბარბარე ფედელთან, რომელსაც სთხოვა შემწეობის მოხმარება აღსრულებაში ზოუვანისთვის იმის სურვილისა: ვახტანგს უნდოდა კათოლიკობა მიეღო კრუზინ-

*) საქართველოს კათალიკოსი დომენტი იყო ვახტანგის ძმა და არა ძმის-წული.

** კრუზინსკი აქ ქაიხოსროს მოიხსენიებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკის ხელით. მაგრამ მიხმული სასახლეში შემოხვევის მოთხოვნილებით გამაჭმადიანდა და წინა დაიცვეთა. მაშინ ვახტანგს მიანდეს გამგეობა თავრიზისა და სპასალარობა ირანისა; ამასთანავე უბძანეს, რომ ავგანებთან საომრად მომზადებულიყო. დიდხანს ალარ გაუვლია, როდესაც დიდკაცთა შურის-ძიებამ მიჭხადა ვახტანგს სპასალარობა; ის გაისტუმრეს საქართველოში. გრიგანში იმან გამოუცხადა ერთს ლამის საუბარში კრუზინსკის, რომ თუმცა გვამით მუსულმანი ვარ, მაგრამ სულით ისევ ქრისტიანი ვარო. ზოგიერთს კრუზინსკის ცნობას თუმცა არც ვახუშტი, არც ჩხეიძე არ იხსენიებენ, მაგრამ საბა-სულხან-ორბელიანი კი ჭმოწმობს, მაგალითად დომენტი კათალიკოზის განზრახვას მაჭმადიანობის მიღებისას. საბა ამასაც დაურთავს, რომ დომენტი სპარსეთის მეფობელობისაგან ქართლის ტახტს ითხოვდაო. გარდა ამისა საბა გვიამბობს ვახტანგის მიდრეკილებას კათოლიკის ალსარებისადმი. ამასვე ამტკიცებს ვახტანგის მიწერ-მოწერა ლუდოვიკ მეთოთხმეტესთან. ეს მიწერ-მოწერა ბირგელად ალმოჩენილა ბარიაის უცხოქვეყნის სამინისტრო არხივში, სადაც ის გარდაუცია ვახტანგის შთამომავალს მეოთხე თაობაში, ფრანციის ბერს, ალექსი სენ-ბრიეს, რომლის მამასაც, დიაღ ცნობილს ფრანცუზის ელჩს კონსტანტინოპოლში, ცოლად ჰყოლია კნიაჟნა გალიცინისა, შვილის-შვილი ვახტანგის ბიძის გიორგისა. ვახტანგის მიწერ-მოწერა დაუბეჭდია უ. ბროსსეს 1832 წელს ფრანცუზულს Juornal Asiatique-ში. ვახტან-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გის შუამავლად ლუდოვიკთან ეოთვილა იმისი ბიძა სულხან-ორბელიანი, დიად ლირს-სატნობელი როგორც თავის კავშირით რომის მისსიონერებთან, აგრეთვე თავის ლექსიკონით და სხვა მწერლობითა. სულხან-საბა ვახტანგის მინდობით გასულა ევროპაში, სადაც 1713 წ. კათოლიკის მლვდელს რიშარს გაჰყოლია და სადაც კათოლიკის აღსარება მიუღია სან-აზილის მონასტერში და ბერათაც შემდგარა; მასუკან რომით პარიეში მისულა 1714 წლის დამდეგს. აქ იმას მიურთმევია კაროლისთვის ვახტანგის პასუხი ლიუდოვიკის წერილზე, რომელზედაც ჩვენ ცნობა არა გვაქვს. ვახტანგი თავის პასუხში ლუდოვიკს ულოცავს იმის 1702—1706 გამარჯვებას გერმანიაში, იტალიაში და ისპანიაში და ამასთანავე უჩივის საქართველოს მდგომარეობას. სულხან-საბა ორჯელ წამდგარა კაროლთან მაისში 1714 წ.; დაბრუნებულა რომს იმავე წელს ივლისში და მოსულა კონსტანტინეპოლს 30 სექტემბერს 1715 წელს. აქ ის ფრანციიდამ ელჩის დეზანლეერის მფარველობას ქვეშ ერთი წელიწადი დარჩენილა: შემდეგ შემოსულა საქართველოში, სადაც იმას მოჰყოლიან თორმეტი მისსიონერი კაპუცინებთაგანი. საბას წერილიდამ ფრანციის შინისტრთან პონშატრენთან ცხადად სჩანს მაშინდელი ჩვენი ქვეყნის მდგომარეობაცა და ვახტანგის გულის წადილიცა. საბა ითხოვს, რომ საფრანგეთის შემწეობით ვახტანგი სპარსეთიდამ საქართველოში დაბრუნდეს. „თუ დაბრუნდებაო — სწერს საბა — ქართველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი არა თუ დაიმარხვენო ქრისტეს სჯულსა, არამედ კათოლიკის სარწმუნოებას შეუერთდებიანო, თავიანთი მეფის მაგალითით, რომელიც ამისთვის მომზადებულიაო. ვახტანგს სხვა განზრახვაცა აქვსო: იმას ჭსურსო მისსიონერებს ლონის-ძიება მისცესო, რომ იმათ საქართველოს მოსაზღვრე ჩერქეზნი ქრისტეს სარწმუნოებაზე მოიყვანონო. საბა იმ იმედსაც აძლევს ბონაპარტესს, რომ ვახტანგი სასახლეს შეემზადებინო თბილისში ფრანციის კონსულს; რომ ის უშიშრობას მიაგებინო ფრანციის საჭირო საქონელს, რომელიც იქიდან საქართველოთ სპარსეთში იგლისო და სპარსეთიდან ფრანციაში; რომ ის ამ საკვაჭრის თავის ხარჯით გაიტანინო სპარსეთის საზღვრიდან შავ-ზღვამდე და შავის-ზღვიდან სპარსეთის საზღვრამდე; რომ ის მაგაზიანებს გაახენინო შავის-ზღვის პირად სამეგრელოში და თავის სამფლობელოში; რომ ის ლონის-ძიებას მისცემსო ადებ-მიმცემს ფრანცუზებს, რომ საკვაჭრები შეიტანონო ჩერქეზეთში და საქართველოს მხარეებში; რომ რაც საჭიროა ადებ-მიცემობისათვის და ფრანციისათვის და რაც კი შესაძლებელი საქმე იქნებაო ყოველსაგე ამას ვახტანგი ალირულებაში მოიყვანინო.

Тбилисский Филиал
Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

ეროვნული
ბიბლიოთეკა